


შპს „ამიერკავკასიის შპალსაჟღენთი ქარხანა“



ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა	8
4. ამონაგები	8
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8
6. სხვა შემოსავალი	8
7. ფინანსური ხარჯები/შემოსავლები	9
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
9. არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	9
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10
13. ძირითადი საშუალებები	11
14. არამატერიალური აქტივები	11
15. მოკლევადიანი ვალდებულებები	11
16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	11
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	12

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს ამიერკავკასიის შპალსაქლენთი ქარხანა

საიდენტიფიკაციო კოდი: 417882795

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	4	11862283	11645474
საქონლის გაყიდვიდან	4	11835739	11593510
მომსახურების გაწვიდან	4	26544	51964
გაყიდვების თვითღირებულება	5	-6266661	-5983379
საერთო მოგება		5595622	5662095
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	0	134426
დასაქმებულთა ანაზღაურება		-491218	-468318
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		0	0
საპროცენტო შემოსავალი	7	303817	140496
საპროცენტო ხარჯი	7	-5245	-7817
იჯარის ხარჯი		-2373	-4068
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	8	-408318	-441581
სულ საოპერაციო ხარჯები		-603337	-646862
საოპერაციო მოგება		4992285	5015233
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	9	113403	-49750
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	9	-4563	-292027
სხვა საფინანსო შემოსავალი/ხარჯი	7	13620	1735
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე ოპერაციებიდან		5114745	4675191
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		5114745	4675191
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)		5114745	4675191
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)		0	0
მოგება / (ზარალი)		5114745	4675191
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		5114745	4675191
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		5114745	4675191
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		9558504	6609995
კაპიტალის გაზრდა		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-2833201	-1726562
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		6125	-120
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		11846173	9558504

დირექტორი: იაკობ კუბლაშვილი



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ამიერკავკასიის შპალსაქლენთი ქარხანა

საიდენტიფიკაციო კოდი: 417882795

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა ბი	31/12/20 24	31/12/20 23	31/12/20 22
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	5434978	4078674	1879152
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	254681	787975	1403221
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		586174	349432	29425
მარაგები	12	2361743	1884035	1222772
სხვა მოკლევადიანი აქტივები		176974	64736	12129
ძირითადი საშუალებები	13	3100707	2609436	2095056
სულ აქტივები		11915257	9774288	6641755
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	15	58514	203363	24499
მიღებული ავანსები	15	6753	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		3817	12421	7261
სულ ვალდებულებები		69084	215784	31760
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		11846251	9558504	6609995
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		(78)	0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		11846173	9558504	6609995
სულ საკუთარი კაპიტალი		11846173	9558504	6609995
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11915257	9774288	6641755

დირექტორი: იაკობ კუბლაშვილი

ხელმოწერა



შპს ამიერკავკასიის შპალსაჟღენთი ქარხანა
კონსოლიდირებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ამიერკავკასიის შპალსაჟღენთი ქარხანა (ს/კ 417882795) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. გორი, კეცხოველის ქ., №135.

კომპანიაში პარტნიორთა წილები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- 01024040643, იაკობ კუბლაშვილი - 100%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მისი შვილობილი კომპანიის განკარგვა/მართვა.

100% იანი წილით, შვილობილ კომპანიას წარმოადგენს შპს „საქართველოს შპალსაჟღენთი ქარხანა“ (ს/კ: 417876980), რომლის ძირითადი საქმიანობაა ხის ხერხვა/რანდვა და რეალიზაცია.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას საშუალებას აძლევენ მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ჯგუფს გააჩნია ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- ჯგუფს შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული ნამეტი შემოსავალი და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას;
- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერ დეფიციტს ან მეტობას მოგებაში ან ზარალში;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ამ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის თვეში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები - 2%
- მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 10–30 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან წარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატე-რიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია,

საბალანსო ღირებულება შე-მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყო-ვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერია-ლური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულო-ბის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცი-რებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულები) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცი-რებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღი-არდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებუ-ლება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპრო-ცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტი-ვები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებუ-ლი აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკუთრივ სხვაობით წარმოქმნილი შემო-სულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი შპალების რეალიზაციიდან	11835739	11593510
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	26544	51964
	11862283	11645474

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული/შემქნილი საქონელი	(6236767)	(5933846)
ტრანსპორტირების ხარჯები	(1463)	(12762)
წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი	(28431)	(36771)
	(6266661)	(5983379)

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2024 წელს კომპანიას არ ჰქონდა.

7. ფინანსური ხარჯები/შემოსავლები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(5245)	(7817)
საპროცენტო შემოსავალი	303817	140496
სხვა ფინანსური შემოსავალი	13834	2098
სხვა ფინანსური ხარჯი	(214)	(363)
	312192	134414

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
კომუნიკაციის ხარჯები	(2191)	(2550)
კომუნალური გადასახდელები	(16962)	(28916)
საკონსულტაციო ხარჯები	(50290)	(6500)
საოფისე ხარჯი	(2629)	(4247)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(5696)	(17035)
დაზღვევის ხარჯი	(1025)	(6756)
მიწოდების და ტრანსპორტირების ხარჯი	(114463)	(226164)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(66415)	(26511)
სოციალური დანარიცხები	(5711)	(7059)
სამივლინებო ხარჯი	(8914)	(5194)
საბანკო მომსახურება	(18202)	(18786)
სხვა საერთო ხარჯი	(115820)	(91863)
	(408318)	(441581)

9. არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები

	2024	2023
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	147025	16396
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(33622)	(66146)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2431	14628
ავტომობილის გაყიდვით მიღებული ხარჯი	0	(290096)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(6994)	(16559)
	108840	(341777)

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024	2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1694224	3150144
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3740659	928439
ეროვნული ვალუტა საღაროში	95	150
	5434978	4078733

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო დებიტორები	151117	481399
გაცემული სესხი	100000	300000
მისაღები პროცენტი	3564	6576
	254681	787975

12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2024	2023
საქონელი	153616	270351
წედლეული და მასალები	1707252	969706
მზა პროდუქცია	494038	637376
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	6837	6602
	2361743	1884035

13. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენიშვნა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2024 წ.	1026606	63306	29841	20127	639627	1779507
შემოსვლა	498679	84251	4254	2527	1618	591329
გასვლა	0	313				313
31 დეკემბერი 2024 წ.	1525285	147244	34095	22654	641245	2370523

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	შენიშვნა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2024 წ.	378576	39945	8619	7547	79334	514021
წლიური ცვეთა	12984	5084	4669	1977	75031	99744
31 დეკემბერი 2024 წ.	391560	45029	13288	9524	154365	613766
საბალანსო ღირებულება	1133725	102215	20807	13130	486880	1756757

კომპანია ასევე ფლობს მიწის ნაკვეთს, რომლის ღირებულებაც შეადგენს 1343950 ლარს.

14 არამატერიალური აქტივები

ჯგუფი არ ფლობს არამატერიალურ აქტივებს

15. მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
კრედიტორული დავალიანება რეზიდენტ საწარმოებზე	58514	28662
ვალდებულება მიღებულ ავანსებზე	6753	174648
	65267	203250

16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ფართი. ამ იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად:

2024	2023
(2373)	(4,068)

17. სხვა ვალდებულებები

	2024	2023
ანარიცხები	1564	1994
ვალდებულება პერსონალის წინაშე	1756	10041
სხვა ვალდებულება	495	386
	3815	12421

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 28/09/2025.

